

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საბაკალავრო პროგრამა**

**პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის**

**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** ირანისტიკა                      Iranian Studies

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი  
BA in Oriental Studies  
სწავლების ძირითადი დარგი – ირანისტიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** რვა სემესტრი (240 კრედიტი).  
აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო  
**240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) 50 კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო კურსებს: 40 კრედიტი განკუთვნილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსებისათვის (მათ შორის 10 კრედიტი გათვალისწინებულია ევროპული ენებისათვის, 10 კრედიტი კი კლასიკური და აღმოსავლური ენებისათვის), ხოლო 10 კრედიტი -სრულიად თავისუფალი არჩევანისათვის.

ბ) 120 კრედიტი განკუთვნილია სპეციალობის ბლოკისათვის, რომელიც თავის მხრივ ასეა განაწილებული: 90 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებისათვის, 20 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსებისათვის და 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომისათვის.

გ) 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა ან მოისმინოს სხვადასხვა სასწავლო კურსი მისი ინტერესების მიხედვით.

დ) 10 კრედიტი განკუთვნილია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის(სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.

საბაკალავრო პროგრამით სტუდენტი სწავლების პირველ ეტაპზე გადის სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინების შესავლებისა და საფუძვლების კურსებს, სპეციალობის სავალდებულო კურსები მას უქმნის ცოდნის იმ აუცილებელ მინიმუმს, რომელიც მას ესაჭიროება კვალიფიკაციის მისაღებად, ხოლო სპეციალობის არჩევითი კურსები უფართოებს კომპენტენციებს და დიაპაზონს აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის სხვადასხვა მიმართულებით. რეკომენდებული დამატებითი პროგრამები მას სძენს ისეთ უნარებსა და კომპენტენციებს, რომელიც ეხმარება მომიჯნავე დარგებსა და სფეროებში გარკვევაში და, შესაბამისად, შრომით ბაზარზე ადვილად ადაპტირებაში.

## სწავლების ენა: ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის მიმართულება მიმდინარე საბაკალავრო პროგრამით მოამზადებს აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრს ირანისტიკის სპეციალობით. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი აითვისებს ქართული ირანისტიკის ყველა ძირითად სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევას და მოემზადება მისი ტრადიციების გასაგრძელებლად დარგის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. დარგის ცოდნასთან ერთად აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების, დემოკრატიული ფასეულობების შეძენით კურსდამთავრებული ჩამოყალიბდება სრულფასოვან მოქალაქედ. ქართველურ სამყაროს ისტორიულად ღრმა კავშირები ჰქონდა ირანულ გარემოსთან, რაც განაპირობებს თავად პროგრამაში ქართულ-ირანული ურთიერთობებისთვის ყველა ძირითად სასპეციალიზაციო დისციპლინებში განსაკუთრებული ადგილის დათმობას ირანის ისტორიის, ირანულ ენათა, კერძოდ სპარსული ენის სტრუქტურისა და სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსებთან ერთად. ასევე სათანადო ყურადღება ეთმობა სათარჯიმნო პრაქტიკუმს, რომელიც დღევანდელი საბაზრო მოთხოვნილებებითაა განპირობებული. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდები

### სწავლის შედეგი:

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. ბაკალავრს აქვს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის. ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

	სასწავლო დისციპლინები:
--	------------------------

1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	<b>ფილოსოფიის შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	<b>საქართველოს ისტორია</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	<b>აკადემიური წერა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.4	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	<b>საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი</b>
1.5	ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები.	<b>ენათმეცნიერების შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.6	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	<b>ინგლისური ენა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>რომელიმე სხვა ევროპული ენა</b> (საფაკულტეტო ევროპული ენა; არჩევით)
1.7	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევით)
1.8	აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ირანისტიკასა და ამ სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე ირანისტიკის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.	<b>აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი</b> (არჩევითი);

1.9	ირანულ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება სპარსულ ენაზე). ლინგვისტური კომპარატივისტიკის დაწყებითი უნარების შეძენა.	ირანულ ენათა შესწავლის შესავალი (სავალდებულო);  სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო)
1.10	სპარსული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; სპარსული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა; სპარსულად კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო)
1.11	სპარსული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება ისლამამდელი ძვ. და საშუალო ირანული ენობრივი ეპოქის ძეგლებიდან მოყოლებული თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ჩათვლით. სპარსული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაცია და ფოლკლორული ნიმუშების გაცნობა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; სპარსული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება.	ძველი, საშუალო და ადრეული შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია; (სავალდებულო)  სპარსული ფოლკლორი; (არჩევით)  შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია; (სავალდებულო)  სპარსული ფოლკლორი; (არჩევით)  ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია. (სავალდებულო)
1.12	თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. სპარსულიდან ქართულად და ქართულიდან სპარსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება.	სპარსულიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა; (სავალდებულო)  სათარჯიმნო პრაქტიკაში სპარსულში. (სავალდებულო)

1.13	სპარსულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა, ასევე სპარსული კულტურისა ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საბაზისო ცოდნა.	სპარსულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი (სავალდებულო)
1.14	ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში სპარსიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში სპარსული ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფა. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა.	სპარსულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი (სავალდებულო)
1.15	ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. შუა საუკუნეების სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, სპარსული ლიტერატურის ძეგლთა ქართული თარგმანების და მათი მიზანძვების ციკლის გაცნობა.	სპარსულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი (სავალდებულო)
1.16	ირანის ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; სპარსული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; ირანის როლის გააზრება ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ირანის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე ირანულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა.	ირანის ისტორია 1-2; (სავალდებულო) ირანის თანამედროვე მდგომარეობა (სავალდებულო)
1.17	ისლამის როგორც რელიგიის და	ისლამი (ისტორია. რელიგია. ცივილიზაცია)

	სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე.	(სავალდებულო)
<b>1.18</b>	ირან-საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა; ისლამური ფაქტორის გათვალისწინება ამ ურთიერთობებში; საქართველოს შესახებ სპარსული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) გაცნობა.	ისლამი (ისტორია, რელიგია, ცივილიზაცია) (სავალდებულო)

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

<b>2.1</b>	ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.	ფილოსოფიის შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)
<b>2.2</b>	ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.	აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)
<b>2.3</b>	საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა <b>ინგლისურ ენაზე</b> . ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	<b>ინგლისური ენა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>რომელიმე სხვა ევროპული ენა</b> (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით);
<b>2.4</b>	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევით)
<b>2.5</b>	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და	საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი

	ანალიზი.	
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	ენათმეცნიერების შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.7	სპარსული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო);  სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში (სავალდებულო);
2.8	სპარსულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო);  სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში (სავალდებულო);
2.9	სპარსული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო);  სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში (სავალდებულო);
2.10	საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო); სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში; (სავალდებულო) სპარსულიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა; (სავალდებულო)
2.11	სათარჯიმნო ბიუროების ტიპური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების სპარსულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების სპარსულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.	სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში; (სავალდებულო) სპარსულიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა; (სავალდებულო)

2.12	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.	სპარსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 (სავალდებულო); ირანულ ენათა შესწავლის შესავალი; (სავალდებულო); ირანის ისტორია (სავალდებულო);
2.13	ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.	სპარსულ-ქართული ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობები; (სავალდებულო) ირანის თანამედროვე მდგომარეობა; (სავალდებულო) ძველი, საშუალო და ადრეული შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია; (სავალდებულო) სპარსული ფოლკლორი; (არჩევითი) შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია; (სავალდებულო) სპარსული ფოლკლორი (არჩევითი)

- დასკვნის უნარი:

დარგობლივ სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- კომუნიკაციის უნარი:

მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა.

სპარსულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (სპარსულის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი



- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ირანისტიკის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული **აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფისა და პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

კონკრეტული მეთოდები იხ. კონკრეტულ სილაბუსებში.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-კვლევით ნაშრომზე (თარგმანი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო-კვლევითი ნაშრომის დაცვას; ზ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას ირანისტიკის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი

სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

### **დასაქმების სფეროები:**

ბაკალავრი მზადდება აღმოსავლეთმცოდნეობის კერძოდ, ირანისტიკის დარგში პედაგოგიური, კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდოლოგიური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისთვის. ირანისტი ბაკალავრი მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ირანულ ფირმებსა და ტურისტულ სააგენტოებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტისათვის.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი # 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი # 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნომადი ბართაია და ასოცირებული პროფესორი ფატმან ანთაძე-მალაშხია

**დამატებითი ინფორმაცია:** პროგრამაზე სწავლა იწყება პირველი სემესტრიდან, მაგრამ ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ენის შესწავლა იწყება პირველი კურსის მეორე სემესტრიდან (სპარსულ ენაში დასაგროვებელი 40 კრედიტის შესასრულებლად სტუდენტს 7 სემესტრიანი ენის კურსის გავლა მოეთხოვება).

სასურველია, პროგრამის კომბინირება ტურიზმის და განათლების მეცნიერებათა პროგრამებთან.

პროგრამას შეუძლია მოემსახუროს 40 სტუდენტს (ყოველ კურსზე 10 სტუდენტს)

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

**ოსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის 6 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული ლექტორი**

N გვარი, სახელი	სტატუსი	სამეცნიერო ხარისხი
1. ალექსიძე მარინა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
2. ანთაძე ფატმან	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
3. გელოვანი ნანი	ასოც. პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
4. კვაჭაძე მანანა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
5. ბართაია ნომადი	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
6. შურღია თეა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
მოწვეული ლექტორები		
1. ჟორჟოლიანი ლილი		ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
2. ბურჯანაძე მზია		ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
3. სანიკიძე გიორგი		ისტ. მეცნ. დოქტორი

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:**

ოსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამას კარგი მატერიალური ბაზა აქვს, კერძოდ: შესანიშნავი ბიბლიოთეკა მრავალენოვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სოლიდური ფონდით. ბიბლიოთეკის ნაწილი შექმნილია ირანის საელჩოს მიერ, რომელიც ყოველწლიურად, სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აგზავნის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს; 2001 წლიდან იმდროინდელ ირანული ფილოლოგიის კათედრასთან ირანის საელჩოს მიერ გახსნილია “ირანის კაბინეტი”, რომელიც აღჭურვილია სწავლების ყოველგვარი აუდიო-ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები) და საჭირო ავეჯით; თბილისში ირანის საელჩოს შუამდგომლობით შესაძლებელია სპეციალისტებისა და კოლეგების ირანიდან მოწვევა სპარსულ ენასა და ლიტერატურაში მოკლე სალექციო კურსის წასაკითხად (რისი პრეცედენტიც უკვე არსებობს).

1996 წლიდან, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით, სტუდენტებს (ასევე პროფესორებს) შეუძლიათ გაიარონ მოკლე და გრძელვადიანი (უფასო) სტაჟირება ირანის რომელიმე უნივერსიტეტში, ირანში შეიძინონ სათანადო ლიტერატურა და გაიარონ კარგი პრაქტიკა სასაუბრო სპარსულში. ბაკალავრიატის კურსდამტავრებულებს აქვთ ირანში მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამასთან, სტუდენტებს, ისევე, როგორც მათ პედაგოგებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თეირანის წიგნების საერთაშორისო გამოფენის მუშაობაში, გაიცნონ ახალი გამოცემები და შეიძინონ სასურველი ლიტერატურა.

სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სპარსულენოვან სტუდენტურ კონფერენციებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რომლებიც რეგულარულად იმართება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ხდება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მიერ სტუდენტებისათვის წამახასიათებელი სტიპენდიის გაცემა.

სტუდენტთა მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსა და ირანისტიკის დეპარტამენტის მიერ გამართულ სხვადასხვა სახის ერთობლივ სპარსულენოვან ლიტერატურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

სტუდენტების ჩართულობა ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ჟურნალ "კალამის" გამოცემაში.

სტუდენტთა სპარსულენოვან კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების სპეციალური კრებულის სახით გამოცემის უზრუნველყოფა ირანის საელჩოს დახმარებით.

### **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ირანისტიკის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ-მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

გარდა ამისა, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო უზრუნველყოფს თსუ უმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის დეპარტამენტის ყველა საფეხურის და მათ შორის ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას.

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: დამატებით პროგრამა ირანისტიკა  
Iranian Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 4 სემესტრი (60 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 60 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 40 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა;
- 20 კრედიტი - არჩევითი კურსები;

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო კონცენტრირებული ცოდნა ირანის ისტორიის, ირანულ ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, აზიაროს იგი ქართული ირანისტიკის სკოლის ძირითად მიღწევებს და ტენდენციებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

- ცოდნა და გაცნობიერება:
  - სპარსული ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების პრაქტიკული ფლობა; სპარსული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი.
  - სპარსული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება. სპარსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა;
  - ირანის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; ირანის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა.
  - ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. (ისლამი ( რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია))
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
  - სპარსული ენის პრაქტიკული გამოყენება ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- დასკვნის უნარი:
  - დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო

წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

- მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი:**
- ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.
- ჯგუფური მუშაობისას მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.
- **სწავლის უნარი:**
- სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.
- სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
- **ღირებულებები:**
- ტოლერანტობა;
- ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და აკადემიური ეთიკის უნარ-ჩვევები.

#### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

#### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები

მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა.

#### **დასაქმების სფეროები:**

ირანისტიკის დამატებითი პროგრამის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება სპარსულის მინიმალური ცოდნისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტთათვის. საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნომადი ბართაია და ასოცირებული პროფესორი ფატმან ანთაძე-მალაშხია

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

<b>N გვარი , სახელი</b>	<b>სტატუსი</b>	<b>სამეცნიერო ხარისხი</b>
1. ალექსიძე მარინა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
2. ანთაძე ფატი	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
3. გელოვანი ნანი	ასოც. პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
4. კვაჭაძე მანანა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
5. ბართაია ნომადი	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
6. შურღია თეა	ასოც. პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
<b>მოწვეული ლექტორები</b>		
1. ბურჯანაძე მზია		ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)
2. სანიკიძე გიორგი		ისტ. მეცნ. დოქტორი
3. ჟორჟოლიანი ლილი		ფილ. მეცნ. კანდიდატი (ფილ. დოქტორი)

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამას კარგი მატერიალური ბაზა აქვს, კერძოდ: შესანიშნავი ბიბლიოთეკა მრავალენოვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სოლიდური ფონდით. ბიბლიოთეკის ნაწილი შექმნილია ირანის საელჩოს მიერ, რომელიც ყოველწლიურად, სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აგზავნის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს; 2001 წლიდან იმდროინდელ ირანული ფილოლოგიის კათედრასთან ირანის საელჩოს მიერ გახსნილია “ირანის კაბინეტი”, რომელიც აღჭურვილია სწავლების ყოველგვარი აუდიო-ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები) და საჭირო ავეჯით; თბილისში ირანის საელჩოს შუამდგომლობით შესაძლებელია სპეციალისტებისა და კოლეგების ირანიდან მოწვევა სპარსულ ენასა და ლიტერატურაში მოკლე სალექციო კურსის წასაკითხად (რისი პრეცედენტიც უკვე არსებობს).

1996 წლიდან, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით, სტუდენტებს (ასევე პროფესორებს) შეუძლიათ გაიარონ მოკლე და გრძელვადიანი (უფასო) სტაჟირება ირანის რომელიმე უნივერსიტეტში, ირანში შეიძინონ სათანადო ლიტერატურა და გაიარონ კარგი პრაქტიკა სასაუბრო სპარსულში. ბაკალავრიატის კურსდამტავრებულებს აქვთ ირანში მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამასთან, სტუდენტებს, ისევე, როგორც მათ პედაგოგებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თეირანის წიგნების საერთაშორისო გამოფენის მუშაობაში, გაიცნონ ახალი გამოცემები და შეიძინონ სასურველი ლიტერატურა.

სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სპარსულენოვან სტუდენტურ კონფერენციებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რომლებიც რეგულარულად იმართება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ხდება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მიერ სტუდენტებისათვის წამახასიათებელი სტიპენდიის გაცემა.

სტუდენტთა მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსა და ირანისტიკის დეპარტამენტის მიერ გამართულ სხვადასხვა სახის ერთობლივ სპარსულენოვან ლიტერატურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

სტუდენტების ჩართულობა ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ჟურნალ “კალამის” გამოცემაში.

სტუდენტთა სპარსულენოვან კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების სპეციალური კრებულის სახით გამოცემის უზრუნველყოფა ირანის საელჩოს დახმარებით.



## სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება, ირანისტიკის კათედრა**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ირანისტიკა**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნომადი ბართაია, ასოც. პროფ. ფატმან ანთაძე-მალაშხია  
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

### პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმ	ლექცია- პრაქტიკუმების თანამართლობა	შუალედური გამოცდის/გამოცდები ს მოსაწოდება	დასკვნითი გამოცდის მოსაწოდება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თ. გამყრელიძე, ირინე მელიქიშვილი, თინათინ ზოლქვაძე, რუსუდან ასათიანი, ნათელა ქუთელია, ეთერ სოსელია
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან გოჩიტაშვილი;

												გიული შაბაშვილი; ნინო შარაშენიძე.
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დემურ ჯალაღონია, მამუკა ბიჭაშვილი, ირაკლი ბრაჭული. ვალერიან რამიშვილი. ნ. კვარაცხელია, დ. გულიაშვილი მ. ქერქაძე, ნ. გულიაშვილი.
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მიხეილ ზახტაძე, ვაჟა კვიციანი, ბუბა კუდავა.
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
	<b>ინგლისური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	<b>გერმანული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი



	<b>შვედური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	შვედური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	შვედური ენა 2	5	60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ნორვეგიული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ნორვეგიული ენა 2	5	60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>პოლონური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	პოლონური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	პოლონური ენა 2	5	60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ქართული ენა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)</b>	<b>10</b>										
	ქართული ენა A1.1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა A1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა A2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა A2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა B1.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა B1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა B2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ქართული ენა B2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
	<b>ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ძველი ბერძნული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ძველი ბერძნული ენა 2	5	60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ლათინური ენა(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ლათინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ლათინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	

	<b>არაბული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	არაბული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	არაბული ენა 2	5	60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>თურქული ენა(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	თურქული ენა1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	თურქული ენა2	5	60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ებრაული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ებრაული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ებრაული ენა 2	5	60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>იაპონური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	იაპონური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	იაპონური ენა 2	5	60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ჩინური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ჩინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ჩინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ახალი სომხური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ახალი სომხური ენა 2	5	60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS )</b>												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარიამ ჩხარტიშვილი.
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვახტანგ ლიჩელი
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან ხუციშვილი,
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ციციშვილი

	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ცირა ბარამიძე, ჯონი კვიციანი
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თეა შურღაია
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლელა ხაჩიძე, ანა ხარანაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა რუსიეშვილი
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლალი ქეცბა-ხუნდაძე
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან გაბუნია
	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რისმაგ გორდუზიანი
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თინა დოლიძე
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ანა ჩიქოვანი,
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნათელა ჭოხონელიძე
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე მექმარიაშვილი
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან ჭკუასელი, ევემია ხარაძე, თამაზ კარანაძე, თინათინ დოლიძე.

### სპეციალობის სავალდებულო კურსები – 100 კრედიტი (ECTS)

1.	სპარსული ენა 1	6	30	90	16	6	5	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღაია
2.	სპარსული ენა 2	6	30	90	16	6	5	3	სპარსული ენა 1	✓		ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღაია
3.	სპარსული ენა 3	6	30	90	16	6	5	3	სპარსული ენა 2		✓	ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღაია
4.	სპარსული ენა 4	6	30	90	16	6	5	3	სპარსული ენა 3	✓		მ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, ფ. ანთაძე
5.	სპარსული ენა 5	6	30	90	16	6	5	3	სპარსული ენა 4		✓	ლ. ჟორჟოლიანი, ფ. ანთაძე, მ. კვაჭაძე
6.	სპარსული ენა 6	5	30	60	20	6	5	4	სპარსული ენა 5	✓		ლ. ჟორჟოლიანი,

												ფ. ანთაძე, მ. კვაჭაძე
7.	სპარსული ენა 7	5	30	60	20	6	5	4	სპარსული ენა 6		✓	მ. კვაჭაძე
8.	ირანულ ენათა შესწავლის შესავალი	5	30	.	64	8	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. კვაჭაძე
9.	სპარსულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5	30	15	60	8	9	3	სპარსული ენა 4	✓		ნ. ბართაია
10.	ძველი, საშუალო და შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია	5	30	30	43	8	10	4	სპარსული ენა 3	✓		ლ. ჟორჟოლიანი
11.	ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია	5	45	15	44	8	9	4	ძველი, საშუალო და შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია	✓		მ. ბურჯანაძე
12.	ირანის ისტორია 1	5	30	15	60	8	9	4	წინაპირობის გარეშე		✓	გ. სანიკიძე
13.	ირანის ისტორია 2	5	30	15	60	8	9	4	ირანის ისტორია 1	✓		გ. სანიკიძე
14.	თანამედროვე ირანი. (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება)	5	30	15	60	8	9	4	წინაპირობის გარეშე		✓	გ. სანიკიძე
15.	სპარსულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები	5	30	30	44	8	10	3	სპარსული ენა 3; ძველი, საშუალო და შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორია	✓		ფ. ანთაძე ლ. ჟორჟოლიანი
16.	სათარჯიმნო პრაქტიკუმი სპარსულში	5	60		44	8	10	3	სპარსული ენა 4		✓	თ. შურღია
17.	ისლამი	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. გელოვანი
	საბაკალავრო ნაშრომი	10									VIII ✓	

სპეციალობის არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)

1.	სპარსული ფოლკლორი	5	30	15	47	20	10	3	სპარსული ენა 3		✓	თ. შურღაია
2.	ნიზამის ენა (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი)	5	30	30	43	8	9	5	სპარსული ენა 6		✓	მ. კვაჭაძე
3.	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე	✓		გ. ჯაფარიძე, მ. მახარაძე
4.	აღმოსავლური კულტურა	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. გელოვანი
5.	ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	რ. გაჩეჩილაძე
6.	ქართული ენის სწორმეტყველება და სტილისტური რეზერვები <sup>1</sup>	5	15	30	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. სანიკიძე
7.	არაბულ-სპარსულ-ოსმალური პალეოგრაფიის სასწავლო პრაქტიკა	5		45	64	4	9	3	არაბული ენა 4 / სპარსული ენა 4 / თურქული ენა 4		✓	თამარ აბულაძე
	<b>რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან</b>											
1.	ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)	5	30	30					წინაპირობის გარეშე			გ. ჯაფარიძე, მ. მახარაძე
2.	ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)	5	30	30					ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)			გ. ჯაფარიძე, მ. მახარაძე
3.	ზოგადი ენათმეცნიერება	5	30	30					ენათმეცნიერების შესავალი			თ. ბოლქვაძე
4.	ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია	5	30	15					წინაპირობის გარეშე			ი. რატიანი, ს. ტაბუცაძე
5.	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1	5	30	30					წინაპირობის გარეშე			ლ. ხაჩიძე
6.	ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2	5	30	30					ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1			ნ. სულავა
7.	აღმოსავლური ფილოსოფიური	5	30	15					წინაპირობის გარეშე			რ. გორდეზიანი

<sup>1</sup> 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული კურსი ცხადდებოდა სახელწოდებით „ქართული ტექსტის ლინგვისტურ-სტილისტური ანალიზი 1, ქართული ტექსტის ლინგვისტურ-სტილისტური ანალიზი 2“



	<i>მოდურები</i>											
8.	<i>ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება</i>	5	30	30					წინაპირობის გარეშე			ი. კომორიძე
9.	<i>ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			ი. კომორიძე
10.	<i>ქართული სახისმეტყველება</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			ნ. გონჯილაშვილი
11.	<i>შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია)</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			ქ. სიხარულიძე
12.	<i>ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			მ. მშვილდაძე
13.	<i>მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია</i>	5	30	15					შესავალი არქეოლოგიაში			მ. ფუთურიძე
14.	<i>ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (16-18სს)</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			ქ. კაკიტელაშვილი მ. ქვრივიშვილი
15.	<i>ბიბლიის შესავალი 1</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			მ. ზუცხრიკიძე
16.	<i>ბიბლიის შესავალი 2</i>	5	30	15					ბიბლიის შესავალი 1			მ. ზუცხრიკიძე
17.	<i>„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში</i>	5	30	15					წინაპირობის გარეშე			მ. ელბაქიძე
<b>თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)</b>												

## დამატებითი პროგრამა - ირანისტიკა - (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
					სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები			სემესტრი	სემესტრი	
	სპარსული ენა 1	6	30	90	16	6(3+3)	5	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღია
	სპარსული ენა 2	6	30	90	16	6(3+3)	5	3	სპარსული ენა 1	✓		ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღია
	სპარსული ენა 3	6	30	90	16	6(3+3)	5	3	სპარსული ენა 2		✓	ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე, თ. შურღია
	სპარსული ენა 4	6	30	90	16	6(3+3)	5	3	სპარსული ენა 3	✓		მ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, ფ. ანთაძე
	სპარსული ენა 5	6	30	90	16	6(3+3)	5	3	სპარსული ენა 4		✓	ლ. ჟორჟოლიანი, ფ. ანთაძე, მ. კვაჭაძე
	თანამედროვე ირანი. პოლიტიკა. ეკონომიკა. საზოგადოება	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ. სანიკიძე
	ისლამი ( რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. გელოვანი
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა \_\_\_\_\_

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ბეჭედი